გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 20

2025 წლის 14 თებერვალი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი 16 ფურცლად- თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერია

შიდა აუდიტის სამსახურის

ანგარიში

2024 წლის საქმიანობის შესახებ

გორი

30 დეკემბერი, 2024 წელი

საფუძველი:

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის #17 დადგენილებით დამტკიცებულ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით" და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სამსახურის საშტატო რიცხოვნობა 2024 წელს შეადგენდა რვა ერთეულს: სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, ორი განყოფილების უფროსი და ოთხი უფროსი სპეციალისტი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სამსახურის მიერ საქმიანობა განხორციელდა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და არსებული სტანდარტების შესაბამისად. იგი ეფუძნებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულ შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის გეგმას.

მიზანი:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების საქმიანობის ანალიზი, შეფასება, არსებული მართვისა და კონტროლის მექანიზმების ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, რისკების გამოვლენა და შეფასება, მათი პრევენციის/აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის განხორციელება გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობაზე.

მოკლე მიმოხილვა:

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის განყოფილებების მიერ, დებულებით გათვალისწინებული მიზნების შესასრულებლად, შემუშავებული იქნა ვადებში გაწერილი და ფუნქციურად განაწილებული 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში მოხდა აუდიტის თითოეული ობიექტისთვის შესაძლო რისკების გამოვლენა და შეფასება. შესწავლილ იქნა:

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და სტრუქტურული ერთეულების მიზნები და ამოცანები, შიდა დოკუმენტაციის გამართულობა, კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობა;
- თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებების და ვალდებულებების გადანაწილება;
- სტრუქტურული ერთეულების დამტკიცებული გეგმებისა და ფაქტიურად განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობა და მიზნობრიობა;

ყველა ზემოთ აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე, გაიცა რეკომენდაციები და მომზადდა რეკომენდაციების შესრულების გეგმები, რომლის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელთა ჩართულობით.

2024 წელს განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში მოხდა შემდეგი ობიექტების შიდა აუდიტორული შემოწმება:

- გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო;
- მერის წარმომადგენლობა ბერბუკის ადმინისტრაციულ ერთეულში;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი;
- შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი.

ყველა ზემოთ აღნიშნულ ობიექტში აუდიტი განხორციელდა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის და შიდა აუდიტის სტანდარტების შემდეგი პრინციპების დაცვით: დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კანონიერება. აუდიტის შემოწმებისას შესწავლილ იქნა:

- საქმისწარმოების წესი, მეთოდები;
- ადამიანური რესურსების მართვის პროცესი;
- შრომითი ხელშეკრულებები, სახელფასო სარგოს განსაზღვრის მეთოდი;
- შესყიდვების პროცესი და პროცედურები;
- აქტივების დაცულობა და გამოყენების მიზნობრიობა;
- მიღებული შემოსავლები, მათ შორის საკუთარი;
- ფინანსური ანგარიშგება (ბუღალტრული ბალანსი);
- დებიტორ-კრედიტორების არსებული მდგომარეობა;
- სუბსიდიის გაანგარიშების მეთოდი;
- ხარჯთაღრიცხვის შესრულების მდგომარეობა;
- თანამშრომლებს შორის უფლებამოსილების და ვალდებულების გადანაწილების მდგომარეობა;
- საქმიანობის სტრატეგიული და წლიური გეგმები; დაგეგმილი აქტივობების/სამუშაოების შესრულების მდგომარეობა;
- არსებული დოკუმენტაციის სისწორე;
- ორგანიზაციის რისკები და შიდა კონტროლის ღონისძიებები.

გამოვლენილი ძირითადი რისკები

- სტრატეგიული და წლიური გეგმების არქონა;
- არასრულყოფილი მონიტორინგი;
- არასრულყოფილად ნაწარმოები დოკუმენტაცია;
- ერთსა და იმავე პოზიციაზე, ერთი და იგივე ფუნქციის პირობებში არსებული განსხვავებული ხელფასი;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- სახანძრო და შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა;

- შიდა წესის დარღვევა;
- თანამშრომელთა ნამუშევარი დროის არასწორად აღრიცხვა;
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტებთან შეუსაბამობა;
- საკუთარი შემოსავლების არასწორი აღრიცხვა, არ ხორციელდება მონიტორინგი;
- ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვა;
- არასწორად განხორციელებული ინვენტარიზაცია, ქონებისა და აქტივების შენახვის; ექსპლუატაციისა და დაცვის წესების შეუსრულებლობა;
- ორგანიზაციაში საწვავის არასრულყოფილად აღრიცხვა;
- საკადრო პოლიტიკის არქონა;
- საქმისწარმოების წესების დარღვევა;
- უფლება-მოვალეობის გადანაწილების (დელეგირების) მექანიზმის არასრულყოფილება;
- დასაკავებელ პოზიციებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნების არქონა.

აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა **სამსახური:**

- ყველა დაფინანსებული პროექტისთვის განხორციელდეს შუალედური და საბოლოო მონიტორინგი და შედგეს ანგარიშები პროექტის შედეგიანობისა და ეფექტიანობის განსაზღვრისთვის (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 აპრილის 21-ე დადგენილება მუხლი 11). ყურადღება გამახვილდეს წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის სისრულეზე და სისწორეზე, გამოირიცხოს ტექნიკური თუ სხვა სახის უზუსტობები;
- მონიტორინგის სრულყოფილად მართვისთვის, შემუშავდეს მონიტორინგზე გასვლების გეგმა/გრაფიკი ისე, რომ პროექტის განხორციელების განმავლობაში მოხდეს უწყვეტი მონიტორინგის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას;
- პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯები, როგორც მერიიდან მიღებულ, ასევე თანამონაწილეობით გათვალისწინებულ თანხაზე, წარმოდგენილი იქნას სრულყოფილად, გაწერილი აქტივობების მიხედვით;
- საპროექტო განაცხადით წარმოდგენილ ღონისძიების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღება მოხდეს მხოლოდ სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის, ხარჯთაღრიცხვის შესწავლისა და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის დადგენის შემდგომ; საპროექტო განაცხადებით წარმოდგენილი აქტივობების შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი ინდიკატორები (რაოდენობრივი ან თვისობრივი), რომელიც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად, სრულყოფილად შეფასდეს პროექტის ეფექტიანობა;
- მოხდეს სამსახურის რისკების განსაზღვრა და მათი მართვის ღონისძიებების დაგეგმვა; გაძლიერდეს შიდა კონტროლი, რათა გამოირიცხოს შემსრულებელი თანამშრომლების მხრიდან გადაცდომა. აღნიშნული გააუმჯობესებს დაფინანსებული პროექტების გამჭვირვალობის და ობიექტურობის ხარისხს;

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო:

- ერთსა და იმავე პოზიციაზე, იდენტური ფუნქციების მქონე თანამშრომლებისთვის სხვადასხვა სახელფასო განაკვეთის შემოღებისას, სააგენტოს მენეჯმენტმა უზრუნველყოს ფუნქციური დატვირთვის შესახებ, ან სხვა რაიმე სახის განმასხვავებელი დოკუმენტის წარმოდგენა/მომზადება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოაღნიშნული შრომის ანაზღაურების სხვაობის დასაბუთება;
- სააგენტოს ხელმძღვანელმა იმოქმედოს წესდების მიხედვით და მერთან შეათანხმოს მხოლოდ ის საკითხები, რასაც წესდება ავალდებულებს, დანარჩენ შემთხვევაში, სააგენტოს საქმიანობა წარმართოს და გადაწყვეტილებები მიიღოს დამოუკიდებლად, დაკისრებული უფლებამოსილების შესაბამისად;
- სააგენტოს მიერ შესრულდეს საქართველოს შრომის კოდექსით (თავი V, მუხლი 24, პუნქტი 11) გათვალისწინებული მოთხოვნები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის ბრძანება # 01-15/ნ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის და წარმოების წესით აღრიცხვის შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად;
- ყურადღება დაეთმოს სააგენტოში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილებით დამტკიცებულ, სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტს;
- სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობისთვის, წლის დასწაყისში გამოაცხადოს ელექტრონული ტენდერები (შესყიდვები), არ დაუშვას ელექტრონული ტენდერის არასწორი პირობებით გამოცხადება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ტენდერის შეწყვეტა და შესაბამისად, მომსახურების დაგვიანებით მიღება;
- ხელშეკრულებით განსაზღვროს საქონლის/მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი და დაცულ იქნას ხელშეკრულების პირობები;
- წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნას საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილი სახსრები (ანგარიშზე არსებული ნაშთის ჩათვლით);
- სააგენტოს საქმიანობა და ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება შესაბამისობაში იქნას მოყვანილი შესაბამისად: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებასთან, 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებასთან და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მაისის N59 დადგენილებით დამტკიცებული „გორის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესთან“;
- ხელშეკრულებები ჩამოყალიბდეს სამართლებრივად და შინაარსობრივად სწორად. გარკვევით ჩაიწეროს ვადები, სანქციები, ძალაში შესვლის პირობები და ხელი მოეწეროს ორმხრივად. სასურველია, საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულებითვე განისაზღვროს მიღება - ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესდეს კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. მკაცრად გაკონტროლდეს ყველა ხელშეკრულების შესაბამისი თანხის ჩარიცხვა. დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდეს შესაბამისი სანქციები. ხელშეკრულებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე არ გაიცეს ქონება იჯარით ან/და ქირავნობით;

- სააგენტომ ინვენტარიზაცია განახორციელოს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N36 დადგენილებით დამტკიცებული „გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი"-ს შესაბამისად;
- პასუხისმგებელი პირის მიერ მეტი ყურადღება მიექცეს ავტოტრანსპორტის ტექნიკურ დათვალიერებაზე თავისდროულად გატარებას, რათა არ მოხდეს შემდგომში ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის ექსპლუატაცია, რათა დაცული იქნეს უსაფრთხოების ნორმები და თავიდან იქნეს აცილებული ჯარიმა/სანქციების დაკისრება;
- მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავდეს მონიტორინგზე გასვლების გეგმა/გრაფიკი ისე, რომ მთელი წლის განმავლობაში მოხდეს უწყვეტი მონიტორინგის პროცესი - განყოფილებებისადმი დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების უწყვეტი შემოწმება/კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას;
- განისაზღვროს სააგენტოს თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებისა და წახალისების ფორმების გამოყენების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესი, რომლის მიხედვითაც წარიმართება სააგენტოში ზემოაღნიშნული კომისიის მუშაობა.

ა(ა)იპ **გორის მუნიციპალიტეტის სპორტ**ის **განვითარ**ებ**ისა და ხელშეწყ**ობ**ის სააგ**ენ**ტ**ო

- ერთსა და იმავე პოზიციაზე, იდენტური ფუნქციების მქონე თანამშრომლებისთვის, სხვადასხვა სახელფასო განაკვეთის შემთხვევაში, სააგენტოს მენეჯმენტმა უზრუნველყოს ფუნქციური დატვირთვის შესახებ, ან სხვა რაიმე სახის განმასხვავებელი დოკუმენტის წარმოდგენა/მომზადება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოაღნიშნული შრომის ანაზღაურების სხვაობის დასაბუთება;
- ბიუჯეტი დაიგეგმოს იმგვარად, რომ წლის განმავლობაში არ გახდეს საჭირო ბიუჯეტის ხშირი ცვლილება;
- მომავალში არ იქნას დაშვებული ასიგნების ზევით ვალდებულების აღება;
- სააგენტომ, სოციალური დახმარების (ბიულეტენი) ანაზღაურება მოახდინოს საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით დამტკიცებული - ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლის მიხედვით;
- მივლინების ბრძანებებს, წინ უსწრებდეს სამსახურეობრივი ბარათები, დასაბუთებული შინაარსით მივლინების აუცილებლობის და სამსახურის ინტერესების შინაარსობრივი დადასტურებით. სამსახურებრივი ტრანსპორტით გამოყენებისას ბრძანებაში მიეთითოს ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი);
- ძირითად საშუალებების ინვენტარიზაცია ჩატარდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N#364 ბრძანებით განსაზღვრული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი"-ისა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N36 დადგენილებით დამტკიცებული „გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში

არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის“ მოთხოვნების შესაბამისად;

- სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის განყოფილებამ შეიმუშაოს გეგმა და ანგარიშგების ფორმა ღონისძიებების პროცესების კონტროლისთვის; ასევე, სასწავლო პროცესებზე ზედამხედველობის განყოფილებამ სასწავლო პროცესებზე კონტროლი განახორციელოს შემუშავებული წლიური გეგმის საფუძველზე;
- სააგენტომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელშიც ასახული იქნება საწვავის აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები, სადაც ნათლად იქნება წარმოდგენილი ხარჯის მიზნობრიობა;
- სრულყოფილად შესრულდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: შესყიდვების გეგმის შედგენისას დაცული იქნას მონეტარული ზღვრები, CMR მოდულში მიღება-ჩაბარების აქტის და სხვა დოკუმენტების ატვირთვა მოხდეს დადგენილი ვადების მიხედვით, წარმოდგენილი ხარჯვის დოკუმენტი შესაბამისობაში იყვეს ხელშეკრულების პირობების მოთხოვნასთან;
- სპორტულ სკოლებში მოსწავლეთა პირადი საქმე შეივსოს ყველა იმ დოკუმენტით, რასაც სააგენტოს მიერ განსაზღვრული და დამტკიცებული სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვის წესი ითვალისწინებს;
- სააგენტომ ახლო მომავალში მოახდინოს მერიიდან თხოვებით გადაცემული ძირითადი ქონების (ტრანსპორტის, რომელსაც გაუვიდა თხოვების ვადა) უკან დაბრუნებისთვის შესაბამისი დოკუმენტების მომზადება;
- სააგენტოს ხელმძღვანელობამ გააძლიეროს კონტროლი, რათა წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა მოხდეს დასაბუთებულად, განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში;
- სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა უზრუნველყონ გამართული მართვის სისტემის ჩამოყალიბება, განსაზღვრონ რისკები, მათი მისაღები დონე (საკადრო საკითხები, თანხის არაეფექტური ხარჯვა და ა.შ.), შეიმუშაონ რისკების მიმართ სტრატეგიული მიდგომები და უზრუნველყონ მათი მართვის უწყვეტობა.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

- ბიუჯეტი დაიგეგმოს იმგვარად, რომ გამოირიცხოს ხარჯების ხშირი მუხლობრივი ცვლილება და ბიუჯეტის აუთვისებლობა;
- უზრუნველყონ ძირითადი ქონების მომსახურების ვადის განსაზღვრა. გონივრულ ვადაში და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინონ რიცხული შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი ქონების შეფასება და მისი რეალიზაცია;
- ცენტრმა შეიმუშაოს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ასახული იქნება ცვეთის დარიცხვი მეთოდი;
- ცენტრის მიერ სრულყოფილად იქნას შესრულებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: საქონლის/მომსახურეობის მიწოდებაზე ხელშეკრულებით განისაზღვროს მიღება ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი. CMR მოდულში დოკუმენტების ატვირთვა მოხდეს დადგენილი ვადების მიხედვით;
- ცენტრის მიერ სამუშაო დროის აღრიცხვა და კონტროლი განხორციელდეს საქართველოს შრომის კოდექსით (თავი V, მუხლი 24, პუნქტი 11) და „საქართველოს

ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის ბრძანება # 01-15/ნ სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის და წარმოების წესით აღრიცხვის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად.

- საქმიანობის ეფექტურად განხორციელების, დროისა და სხვა რესურსების დაზოგვის მიზნით მიზანშეწონილია ცენტრი ჩაერთოს გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში.
- ცენტრმა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წესდებითა და ადმინისტრაციული სამართალდარვევათა კოდქსით გათვალისწინებული უფლებამოვალეობის შესრულება, კერძოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას გაატარონ კანონით გათვალისწინებული ზომები.
- ცენტრის მიერ წლიური სამუშაო გეგმით სრულყოფილად განისაზღვროს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის აქტივობები, როგორც ქალაქში ისე რაიონში მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. მოსახლეობის ინფორმირებულობის მაჩვენებელი იყოს მაქსიმალური.
- პარაზიტოლოგიური დაავადებების კვლევისთვის ცენტრმა უზრუნველყოს კვლევების ლაბორატორიისთვის სტანდარტების შესაბამისად სივრცის მოწყობა;
- უზრუნველყონ დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, არსებული სფეროს მიხედვით განისაზღვროს, შეფასდეს რისკები და გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც ამ რისკების თავიდან აცილებაზე ან მინიმუმადე დაყვანაზე იქნება ორიენტირებული.
- შიდა კონტროლის დანერგვის და გაძლიერების მიზნით, ცენტრის მიერ მოხდეს სრულყოფილი წლიური საქმიანობის გეგმა-გრაფიკის შემუშავება, სადაც გაიწერება, ყველა ღონისძიება/აქტივობა, შემსრულებლ პირთა და შესასრულებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელი/მაკონტროლებელის პირთა მითითებით და მოსალოდნელი შედეგებით. შეაფასდეს თითოეული ჩატარებული სამუშაოს აქტიურობის ხარისხი და დამდგარი შედეგი.
- მიზანშეწონილია ცენტრმა გადახედოს წესდებას და დამფუძნებელთან წარადგინოს წინადადება წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

- ცენტრმა აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ და სხვა მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად; თანხის დეპოზიტზე განთავსებისას, ცენტრმა იხელმძღვანელოს წესდების მე-8-ე მუხლის ო) პუნქტის შესაბამისად;
- ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის N36 დადგენილებით დამტკიცებული „გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის“ შესაბამისად;

- შემუშავდეს შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად გაწერილი იქნება საწვავის აღრიცხვის წესი.
- ცენტრმა საქმიანობა შესაბამისობაში მოიყვანოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან;
- ცენტრმა ხელფასების, შვებულების და საავადმყოფო ფურცლების აღრიცხვა აწარმოოს მოქმედი ნორმების შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს სამივლინებო მოწმობები.
- ცენტრის მიერ გამოიცეს ყოველთვიურად ბრძანება თანამშრომლებზე, რომლებიც იღებენ დამატებით შემოსავალს ფასიანი მომსახურეობიდან (მიღებული პაციენტების რაოდენობის აღნიშვნით).
- ცენტრის დირექტორმა არსებული სფეროს მიხედვით, განსაზღვროს ადგილზე რისკები და დასახოს კონტროლის ღონისძიებები, რათა გამოირიცხოს შემსრულებელი თანამშრომლების მხრიდან შესრულებული სამუშაოს უზუსტობა/გადაცდომა.
- ორგანიზაციის წესდების მუხლი 11, პუნქტი 1-ის შესაბამისად, მოხდეს მერიაში წლიურ ანგარიშგების წარდგენა, სადაც ნათლად და სრულყოფილად აისახება წლის განმავლობაში განხორციელებული, ორგანიზაციის მიზნების და ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად გაწეული საქმიანობა და მიღწეული შედეგები; ასევე წარდგენილ იქნას ფინანსური ანგარიში (ბალანსი) დროულად და სწორად ასახული მონაცემებით;

განხორციელებული მონიტორინგი:

2024 წელს, შიდა აუდიტის სამსახურის წლიური გეგმის მიხედვით, აუდიტის ობიექტებში განხორციელდა აუდიტის შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი. ეს ობიექტებია:

1. გორის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
2. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო

აღნიშნულ ობიექტებში განხორციელებული მონიტორინგი მიზნად ისახავდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესწავლას და ამ რეკომენდაციების შესრულებისათვის განხორციელებული ღონისძიებების, რეკომენდაციების შესრულების კუთხით მენეჯმენტის მიერ გატარებული ღონისძიებების ანალიზს.

მონიტორინგის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის აუდიტორული პროცედურები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული და ადგილზე მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლა და შეფასება
- პროცესებზე დაკვირვება
- მენეჯერთან და პროცესებთან დაკავშირებულ თანამშრომლებთან გასაუბრება;

შიდა აუდიტის მიერ ობიექტებისთვის გაცემული რეკომენდაციების 41% შესრულდა, რეკომენდაციების 33%-ის შემთხვევაში დაწყებულია მუშაობა და ეტაპობრივად სრულდება, ხოლო 26%-ზე ჯერ მუშაობა არ დაწყებულა და დარჩენილია იგივე რისკები.

1. **გორის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;**

შესრულებული რეკომენდაციები:

- სამსახურის ყველა თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა შესაბამისობაში მოვიდეს დებულებასთან, ასევე განახლდეს სამუშაო აღწერილობები, სადაც გაიწერება კანონით შესასრულებელი ყველა ფუნქცია. გარდა ამისა, სამუშაო აღწერილობებში უნდა მიეთითოს მოქმედი სავალდებულო საკანონმდებლო აქტები, რომლითაც სამუშაო პროცესში იხელმძღვანელებენ;
მოხდა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების, სამუშაო აღწერილობების განახლება

- სამსახურმა უზრუნველყოს გორის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების, სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მათში შესული ცვლილებების დროული გაცნობა, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის ეფექტურ მუშაობას და მნიშვნელოვნად შეამცირებს ფინანსურ და სამართლებრივ გადაცდომის რისკებს. ასევე გაატაროს დამატებითი ღონისძიებები და მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოს არასწორად დაანგარიშებული მშენებლობის მოსაკრებლის დარჩენილი თანხის - 19593 ლარის, მენაშენეების მიერ ბიუჯეტში შემოტანა;
მოხდა თანხის სრულად შეტანა ბიუჯეტში.

ნაწილობრივ შესრულებული და მომავალ პერიოდში ეტაპობრივად შესასრულებელი რეკომენდაციები:

- სამსახურის მიერ შემუშავდეს 2-3 წლიანი პერსპექტიული გეგმა და საქმიანობის წლიური გეგმა. განისაზღვროს თითოეული პროექტის/საქმიანობის შეფასების ინდიკატორები, შესაძლო რისკები და მონიტორინგის პერიოდულობა

აქვთ საქმიანობის გეგმები ცალკეული პროექტებისთვის (მაგ: ამხანოგობის თანადაფინანსების პროექტი), ხოლო მონიტორინგის გეგმა-გრაფიკები, შესაძლო რისკების რეესტრი, 2-3 წლიანი პერსპექტიული გეგმა არ აქვთ შემუშავებული;

- განსაზღვრული პერიოდულობით მოხდეს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის მომზადება. ანგარიშში კარგად უნდა გამოჩნდეს, სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს/საქმიანობის მოცულობა, შეფასდეს შესრულებული პროექტების მნიშვნელობა და ეფექტურობა, შეჩერებული და არშესრულებული (ჩავარდნილი) პროექტების შეფერხების/წარუმატებლობის მიზეზი. ანგარიშებში გამოჩნდეს თანამშრომლების მიერ გატარებული დამატებითი ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო დაგეგმილი პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

წლიური საქმიანობის ანგარიშები მზადდება მერთან და საკრებულოში წარსადგენად, მაგრამ მასში, ისე როგორც წინა პერიოდის ანგარიშებში, არ ჩანს სამსახურის მიერ გატარებული დამატებითი ღონისძიებები და აქტივობები;

- დაინერგოს კონტროლი მენეჯმენტის მხრიდან შესულ კორესპოდენციაზე. ვადის ფარგლებში მოხდეს მიღებულ წერილებზე რეაგირება. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხდება ვადის დაცვა, ხელმძღვანელის მიერ კანონის შესაბამისად გაგრძელდეს ვადა, რათა არ დაირღვეს არსებული საქმისწარმოების წესი;

კორესპოდენციის ნაწილზე ხელმძღვანელის მიერ ვადა გაგრძელებულია, თუმცა შესამოწმებელ პერიოდში არის ვადაგადაცილებული წერილებიც;

შეუსრულებელი რეკომენდაციები

- სამსახურის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები. კერძოდ, კარგად ჩამოყალიბდეს სამსახურის მისია, მიზნები და ამოცანები, რისკების მართვის გეგმასთან, თანამშრომლებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები. დებულებაში გაიწეროს სამსახურის უფროსის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები. ამასთან, ის ფუნქციები, რომელიც ძველი დებულებიდანაა დარჩენილი და სხვა სამსახურს აკისრია, ამოღებული იქნეს სამსახურის დებულებიდან;

პასუხისმგებელი პირების უყურადღებობა (ვერ მომზადდა დებულების პროექტი და არ მოხდა საკრებულოზე გატანა დასამტკიცებლად)

- წერილები დაიხუროს წესის მიხედვით, განმცხადებლისთვის პასუხის გაგზავნის შემდეგ. შემოსულ განცხადებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება (დადებითი იქნება თუ უარი), ეცნობოს განმცხადებელს არგუმენტის მითითებით
- სამსახურმა შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით მოახდინოს განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა და შესაბამისი პროექტების შესყიდვა განახორციელოს გონივრულ ვადაში, რათა არ გახდეს საჭირო დამატებითი ხარჯის გაწევა (ხარჯთაღრიცხვებში ფასების კორექტირება და სხვა)
- მერიამ/ინფრასტრუქტურის სამსახურმა სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისთან ერთად შეიმუშაოს და დანერგოს მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, მოქმედი სტანდარტების დაცვით, სამუშაოების შესრულებისა და მოვლა-პატრონობისთვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები.
- სამსახურმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოვლენას არა მხოლოდ მშენებლობის დაწყებისას, არამედ პროექტის მიღება-ჩაბარების ეტაპზე. სამსახურმა დოკუმენტით ნათლად უნდა განსაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ხელშეკრულებით დაკისრებული საჯარიმო

სანქციები უნდა იყოს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების შედეგად მიღებული ზიანის ადეკვატური და არა მცირე/უმნიშვნელო მოცულობითი. ასევე სამსახურმა უნდა შეისწავლოს პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც ჩაიბარეს უხარისხო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მათ მიმართ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო

შესრულებული რეკომენდაციები:

- წლიურ სამუშაო გეგმაში აისახოს განყოფილების მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და პერიოდულობა. წლიური ანგარიშებში მიზანშეწონილია აისახოს დაგეგმილი სამუშაოს რა ნაწილი შესრულდა, რამდენად შედეგიანი იყო გაწეული საქმიანობა, გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
  სააგენტოს წლიურ სამუშაო გეგმაში, განყოფილებების მიხედვით გაწერილია შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, რამდენადაც შესაძლებელია მითითებულია ასევე პერიოდულობა და ადგილმდებარეობა;

- მოხდეს საშტატო ნუსხის გადახედვა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება, თანამშრომელთა იდენტური მოვალეობის შესრულებისას ხელფასებიც იყოს თანაბარი. თუ რომელიმე სპეციალისტს მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება, აღნიშნული დეტალურად გაიწეროს შესაბამისი დოკუმენტით. თანამშრომელთათვის დისციპლინური სასჯელის განსაზღვრისას, იხელმძღვანელონ შინაგანაწესით დამტკიცებული ნორმების შესაბამისად;
  საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციებისთვის დამტკიცდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები; განახლდა შრომითი ხელშეკრულებები, სადაც დეტალურად გაწერილია თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა. მოვალეობის იდენტურად გაწერილია თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;

- მიღებულ კორესპოდენციაზე მოხდეს დროული რეაგირება, რათა მომავალში არ დაუშვან კანონით დადგენილი ვადების დარღვევა; აღნიშნული გაკონტროლდეს ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირის მიერ გარკვეული პერიოდულობით;

  სააგენტოს ხელმძღვანელი პირების მიერ გამკაცრდა კონტროლი მიღებული წერილების დროულ რეაგირებაზე, რამაც ხელი შეუწყო ვადაგადაცილებული კორესპოდენციის მნიშვნელოვნად შემცირებას. მონიტორინგის პერიოდში, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში სააგენტოს გვერდზე განთავსებული კორესპოდენციის ანალიზით გამოიკვეთა, რომ კიდევ გვხვდება ვადაგადაცილებული წერილები, რომლებიც ძირითადად ეხება ხეების გადაბელვას, მოჭრას, განათების მოწყობას და ა.შ. რაც სამუშაო პროცესის თანმხლები მოვლენაა, მაგრამ ვადაგადაცილების მიუხედავად, ყველა წერილზე პასუხი გაცემულია;

- სანერგე განყოფილებაში საშტატო ერთეულების ოპტიმიზაციისა და მათი რაციონალურად გამოყენების მიზნით, მენეჯერული რგოლის შემცირების ხარჯზე მოხდეს საჭირო კონტიგენტის შერჩევა.
  გამწვანების და სანერგე მეურნეობის განყოფილებაში გაუქმდა ზოოპარკის მომვლელის შტატი, გაიზარდა მთიბავების და დღიური მუშების რაოდენობა;

- ორგანიზაციამ აწარმოოს საწვავის ხარჯის და აღრიცხვასთან დაკავშირებული სრულყოფილი დოკუმენტაცია თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიხედვით. მიზანშეწონილია საბურავების გამოცვლასთან დაკავშირებით დაკონკრეტდეს საბურავის შეცვლის მიზეზი, სარემონტო სამუშაოების შედეგად გამოცვლილი და გამოსაყენებლად ვარგისი (ლითონის შემცველი და სხვა) ნაწილები მოქმედი წესით იქნეს აღებული შემოსავალში.
  ორგანიზაცია დღეის მდგომარეობით აწარმოებს საწვავის ხარჯისა და აღრიცხვასთან დაკავშირებულ სრულყოფილ დოკუმენტაციას - შემუშავებული ფორმების შესაბამისად. საბურავების შეცვლა ხდება სეზონის მიხედვით. ხოლო დაზიანების შემთხვევაში, აქტში მიეთითება საბურავი შეცვლას საჭიროებს თუ შეკეთებას. სარემონტო სამუშაოების დროს, დაზიანებული ნაწილების შეცვლა და შეკეთება ხდება, პრეისკურანტით შესყიდული მომსახურების შესაბამისად;

- სასაფლაოების მოწყობისა და მართვის განყოფილების მიერ, საფლავების ქაოტურად განთავსების თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდეს სასაფლაოს დაგეგმარება, სექტორებად დაყოფა და დანომრა. შეიქმნას ელექტრონული ბაზები, არსებული საფლავების, გაცემული საფლავების და გასაცემი ფართების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით;
  2023 წლის დეკემბერში, ახალი სასაფლაოსთვის აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან სააგენტოს გადაეცა 131118.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის მომზადება, რის მიხედვითაც, ყოველ ახლად გაცემულ საფლავს ენიჭება ინდივიდუალური ნომერი; შეიქმნა ელექტრონული ბაზა, სადაც სრული ინფორმაცია შედის გაცემული საფლავების შესახებ.

- სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური მონაცემები იყოს სტანდარტებთან შესაბამისობაში. რაც არ გამოიწვევს ტენდერის შეწყვეტას და შესაბამისად მომსახურების დაგვიანებით მიღებას. სააგენტომ შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვროს საქონლის/მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი.

  2024 წლის 01 იანვრიდან გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულ იქნა საქონლის/მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი, აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აღმოფხვრილია, სახელმწიფო შესყიდვების პროცესი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან;

- მონიტორინგის განყოფილების მიერ შემუშავდეს მონიტორინგზე გასვლების გეგმა/გრაფიკი (შესამოწმებელი მიმართულებების გეგმა) ისე, რომ მთელი წლის

განმავლობაში მოხდეს უწყვეტი მონიტორინგის პროცესი, სააგენტოს დებულებით, განყოფილებებისადმი დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების უწყვეტი შემოწმება/კონტროლი. რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას; მონიტორინგის განყოფილებამ უზრუნველყოს კონტროლი სააგენტოს დირექტორის N№.12.20211832 ბრძანებით სტრუქტურული ქვეგანაყოფებისთვის შემუშავებული დეფექტური და შესრულებული სამუშაოების აქტის ფორმების სრულყოფილად წარმოებაზე.

მონიტორინგის განყოფილების მიერ შემუშავებულ იქნა მონიტორინგზე გასვლების გეგმა/გრაფიკი (შესამოწმებელი მიმართულებების გეგმა) ისე, რომ მთელი წლის განმავლობაში ხდება უწყვეტი მონიტორინგის პროცესი, კერძოდ, განყოფილებებისადმი დებულებით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების უწყვეტი შემოწმება/კონტროლი. ასევე გამკაცრდა კონტროლი სააგენტოს დირექტორის N№.12.20211832 ბრძანებით სტრუქტურული ქვეგანაყოფებისთვის შემუშავებული დეფექტური და შესრულებული სამუშაოების აქტის ფორმების სრულყოფილ წარმოებაზე. ყოველი მომდევნო თვის დასაწყისში სააგენტოს დირექტორს წარედგინება ანგარიში გასული თვის მონიტორინგის შესახებ;

ნაწილობრივ შესრულებული და მომავალ პერიოდში ეტაპობრივად შესასრულებელი რეკომენდაციები:

- წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას (სუბსიდიის მოთხოვნისას) გათვალისწინებული იქნეს საკუთარი შემოსავლების ანგარიშზე არსებული ნაშთი; ბიუჯეტიც დაიგეგმოს იმგვარად, რომ არ გახდეს საჭირო ბიუჯეტის ხშირი ცვლილება; სააგენტოში დაწესდეს კონტროლი მომსახურების ხელშეკრულებებზე, ვადაგადაცილების შემთხვევაში გამოყენებული იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები. გააქტიურდეს მუშაობა საკუთარი შემოსავლების ამოღების მხრივ დებიტორებთან;

წლიური ბიუჯეტი დაიგეგმა საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით; გამკაცრდა კონტროლი მომსახურების ხელშეკრულებებზე. დღეის მდგომარეობით თითქმის სრულად არის აღმოფხვრილი პრობლემატური დებიტორული დავალიანებები. დარჩენილია მხოლოდ 4 დავალიანება, აქედან ერთ შემთხვევაში სარჩელია შეტანილი სასამართლოში, ხოლო სამ შემთხვევაში გაფორმდა შეთანხმების აქტები დავალიანების განწილვადების შესახებ, რის საფუძველზეც ორ მათგანზე დავალიანების დაფარვა ხდება შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ხოლო ერთი ისევ პრობლემურია და მზადდება დოკუმენტაცია სასამართლოში წარსადგენად;

- ნერგების აღრიცხვისათვის ორგანიზაციამ აწარმოოს შესაბამისი ჟურნალი; მოხდეს მწვანე ნარგავების ყოველწლიური ინვენტარიზაცია, მომზადდეს ტერიტორიის კარტოგრაფიული გეგმა, არსებული ნარგავებისა და შენობების აღნიშვნით, სანერგედან მწვანე ნარგავების გაცემაზე შედგეს შესაბამისი დოკუმენტი - ხე მცენარის სახეობის, რაოდენობის და დარგვის ლოკაციის მითითებით (პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით). განყოფილების ტერიტორიის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით,

უზრუნველყონ არსებული სათვალთვალო კამერების გამართულობა (ოფისი აღჭურვილ იქნას შესაბამისი ტექნიკით და ინტერნეტით).

ჩატარდა მწვანე ნარგავების ინვენტარიზაცია. სანერგეედან მწვანე ნარგავების გაცემაზე დგება შესაბამისი აქტები (მცენარის სახეობის და რაოდენობის მითითებით). განყოფილების ტერიტორიის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ტერიტორიაზე არსებული სათვალთვალო კამერები მოყვანილ იქნა მწყობრში, ოფისი აღიჭურვა საჭირო ტექნიკით და ინტერნეტით. ტერიტორიის კარტოგრაფიული გეგმა არ მომზადებულა, რადგან გეგმის მომზადება გარკვეულ ხარჯს მოითხოვს, რომელიც მიმდინარე წლის ბიუჯეტით არ იყო გათვალისწინებული. მომავალ წელს იგეგმება ახალი პროექტები სანერგე განყოფილებისთვის, რომლის ფარგლებშიც, გათვალისწინებულია კარტოგრაფიული გეგმის მომზადებაც;

- დაწესებული იქნეს კონტროლი: 1. ავტოტრანსპორტის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაზე; 2. სატრანსპორტო საშუალებებისთვის დამტკიცებული გრაფიკების და მარშუტების (გადაადგილებების) ზედმიწევნით შესრულებაზე

  პასუხისმგებელი პირების მიერ გამკაცრდა კონტროლი დამტკიცებული გრაფიკების და მარშუტების შესრულებაზე, არსებული ავტოტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობაზე. უნდა ავღნიშნოთ, რომ სააგენტოს ბალანსზე რიცხულ (1982-1992 წლებში გამოშვებული) 5 ერთეულ ავტოტრანსპორტს დღემდე არ აქვს გავლილი ტექნიკური დათვალიერება, რადგან აღნიშნული ტრანსპორტი იმდენად გაუმართავია, მათი მომზადება ტექ. დათვალიერებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია (ასეთი გაუმართავი ტრანსპორტის მოძრაობა საფრთხის შემცველია)

- სამშენებლო-სარეაბილიტაციო განყოფილების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია იყოს სრულყოფილად შედგენილი. განყოფილებამ შესრულებული სამუშაოები აწარმოოს სათანადოდ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე. შესრულებულ სამუშაოებზე გახარჯული მასალების ჩამოწერა განხორციელდეს მათი ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად

  სააგენტომ რეკომენდაციების შესრულების გეგმაში აღნიშნა, რომ 2024 წლის იანვრიდან სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განყოფილება უზრუნველყოფდა სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოებას, მაგრამ რეალურად ხდება მხოლოდ გახარჯული მასალების ჩამოწერა, სამშენებლო სამუშაოებისთვის დეფექტური აქტების სრულყოფილად შედგენა ამ დრომდე არ ხდება;

- გარე დეკორატიული განათების განყოფილების მიერ დაცული და შესრულებული იქნას სააგენტოს მიერ ბრძანება #12. 2021 - 1832 - სტრუქტურული ქვეგანაყოფებისთვის შემუშავებული დეფექტური და შესრულებული სამუშაოების აქტის ფორმების სწორად შევსებისა და გამოყენების წესი. სააგენტომ უზრუნველყოს ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ნათურების აღრიცხვა, უსაფრთხო დასაწყობება და შემჭიდროვებულ ვადებში უტილიზაცია.
-

გარე დეკორატიული განათების განყოფილების მიერ გამოსწორებულია დოკუმენტების წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები. განყოფილება დეფექტურ და შესრულებული სამუშაოების აქტებს აწარმოებს სააგენტოს მიერ ბრძანება #12. 2021-1832 - სტრუქტურული ქვეგანაყოფებისთვის შემუშავებული დეფექტური და შესრულებული სამუშაოების აქტების ფორმების შესაბამისად. განყოფილება ასევე უზრუნველყოფს ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ნათურების უსაფრთხო დასაწყობებას; ამ ეტაპზე ასეთი ნათურების უტილიზაცია ვერ ხდება ბიუჯეტში თანხის გაუთვალისწინებლობის გამო. უტილიზაციის თანხა გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის ბიუჯეტში;

შეუსრულებელი რეკომენდაცია

- სააგენტო ჩამოწერილ ქონების შეფასებას და რეალიზაციას გეგმავს მომავალ წელს, რაც გათვალისწინებული იქნება 2025 წლის ბიუჯეტში.

გაცემული რეკომენდაციებით გასატარებელი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი 57% - შესრულებულია; მონიტორინგის ანგარიშში ასახული რისკები ნაწილობრივ შესრულებულ და ჯერ კიდევ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან მიმართებაში (5 რეკომენდაცია შესრულდა ნაწილობრივ, ერთი არ შესრულდა), ისევ რჩება ნარჩენ რისკებად. ამდენად, რეკომენდირებულია, მენეჯმენტის მხრიდან, გონივრულ ვადებში განხორციელდეს ადეკვატური ღონისძიებები გაცემული რეკომენდაციების სრულად შესასრულებლად.

აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობები

სამსახურის მიერ რისკების შეფასების საფუძველზე მომზადდა 2025-2028 წლების სტრატეგიული და 2025 წლის საქმიანობის გეგმები, რომელიც დამტკიცებული იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის შესაბამისად გეგმები გაიგზავნა „ჰარმონიზაციის ცენტრში".

2024 წლის ბოლოს (დეკემბერი) მომზადდა გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელიც „ჰარმონიზაციის ცენტრის" გარდა გაიგზავნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

სამსახურის მიერ ყოველ კვარტალურად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციისა და საკონტაქტო მონაცემების განახლება/შევსებას, რომლის მიზანია სრულყოფილი საინფორმაციო ბაზების არსებობა, მჭიდრო კონტაქტი მერიის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებთან და საჭიროების შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

სამსახური ასევე ახორციელებს საკონსულტაციო საქმიანობას ფორმალიზებული პროცედურების დაცვით. აუდიტორული საკონსულტაციო მომსახურება გაეწია, როგორც მერიის სამსახურებს, ასევე მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებს. საკონსულტაციო მომსახურეობის საკითხები ძირითადად შეეხებოდა ქონების განკარგვის, აღრიცხვა-ანგარიშგების, იურიდიულ და სხვა საკითხებს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, შესრულებულია წინა პერიოდში გარე შეფასების აუდიტით გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი, მიმდინარეობს მუშაობა რეკომენდაციების სრულად გასათვალისწინებლად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი /მერაბ რაზმაძე/